ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 132 თიბათვე 25, კვირა 1889 თიბათვე 25, კვირა № 132

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ორშაბათს, 26 ივნისს,

ტრამვაის დახურულს როტონდაში

გამართული იქნება

შესანიშნავი ხელოვნური წარმოდგენა

ნატან შვარცისა,

კვარტეტი შვარცისა და აგრეთვე იანოვიჩისა და უმლაუფის დასისა.

დაწვრილებული ცნობები აფიშებში იქნება

(1—1)

ტფილისი, 24 თიბათვე

გაზეთებში დიდი ლაპარაკია დიპლომატიის თაობაზე და ამიტომ ცხადია, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა და მეგობრობა მტკიცე არ არის. დიდი ხანია, რაც ევროპა არავითარს ღონესა და ხარჯს არა ჰზოგავს ჯარების შეთოფიარაღებისათვის, ვითომ-და იმ განზრახვით, რომ მშვიდობიანობა დაიცვას და ომი თავიდგან აიცილოს. პოლიტიკოსებმა ხელ-ახლავ დაიწყეს ლაღადი, რომ საომრად მზადება საჭირო არისო, რა[ზ]ა სახელმწიფოთა გამწვავებულს ურთიერთობას ომი არ მოჰყვესო. რასაკვირველია, ეს სიტყვა ყოვლად ფუჭია, რადგანაც სად მშვიდობიანობა და სად საომრად მზადება. უეჭველია, რომ სახელმწიფონი გამუდმებულის მზადებით ერთმანეთს მოსვენებას არ აძლევენ და ამწვავებენ უიმისოდაც გამწვავებულს ურთიერთობას.

ამ ჟამად გაზეთებს დიდი ლაპარაკი აქვთ ერთის მხრით რუსეთისა და მეორეს მხრით სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ. რუსეთის გაზეთები ერთ-ხმად ამბობენ, რომ ავსტრიასა და გერმანიას განზრახვა აქვთ რუსეთი სრულიად დააქვეითონ პოლიტიკაში და თუ შესაძლო იქნება, ბალკანეთიდგანაც განაძეონ. ამ სახით, გაზეთებიდგან სჩანს, რომ რუსეთს ევროპაში მოკავშირე არავინა ჰყავს, ევროპის სახელმწიფოებს საგნად ისა აქვთ, რომ პირველობა ბალკანეთის ნახევარს კუნძულზე რუსეთს ჩამოართვან და ავსტრიას დაუმკვიდრონ. ამიტომ ავსტრიაც დიდს მზადებაშია და გერმანიაც მხარს აძლევს. ბევრჯელ ყოფილა გამწვავებული რუსეთისა და ავსტრიის ურთიერთობა, ხოლო ამ ზომამდე-კი საქმე ჯერ არ მისულა. ამიტომაც თუმცა დიპლომატები გაიძახიან, რომ რაც უნდა საძნელო იყოს საპოლიტიკო მდგომარეობა, მაინც შესაძლოა საქმე მორიგებით გავათავოთ,—იმათი ლაპარაკი ანგარიშში ჩასათვლელი არ არის. რუსეთისა და ავსტრიის ურთიერთობა იმ ნაირია, რომ ყოვლად შეუძლებელია საქმის მორიგებით გათავება. ორსავე სახელმწიფოს, რუსეთსა და ავსტრიას, საგნად აქვსთ უპირატესობა დაიმკვიდრონ ბალკანეთში. თუ რუსეთმა თავისი წადილი ვერ შეისრულა, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ თავისს ისტორიულს გზას უმტყუნა და ეს გზა სხვას დაუთმო. ამით, რასაკვირველია, რუსეთი დაჰკარგავს იმ სახელსა და ძალას, რომლის მექონიც დღეს არის. ავსტრიაც ამავე ყოფაშია. თუ ავსტრიამ რუსეთს დაუთმო ბალკანეთი, მაშინ ავსტრია სრულიად დაქვეითდება. ერთსაცა და მეორესაც აზრად ისა აქვს, რომ სლავიანთა მეთაურად გახდეს. ამ სახით, რუსეთისა და ავსტრიის მერმისი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისის გავლენის ქვეშ იქნება ბალკანეთი. ევროპას არა სურს, რომ რუსეთს დარჩეს ბალკანეთი, რადგანაც მაშინ რუსეთი უძლიერესი სახელმწიფო შეიქნება. სწორედ აქ არის იმისი მიზეზი, რომ გერმანია ეგრე თანაუგრძნობს ავსტრიას და სცდილობს, სადაც-კი მოეხერხება, რუსეთს ხელი შეუშალოს.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ჩვენს კავკასიის გამოფენაზედ დიდ-ძალი ექსპონენტები იყრიან თავს. სხვათა შორის ერევნის ვაჟთა გიმნაზიასა და დედათა პროგიმნაზიას უკვე გამოუგზავნიათ ნიმუშები მოსწავლეთა ხელ-საქმისა, იარაღებისა და სხვათა. ამას გარდა კომიტეტს მიუღია ნიმუშებივე ნიადაგისა კავკასიის სხვა-და-სხვა მხრიდგან. ბათუმიდგან იუწყებიან, რომ ამ დღეებში ჩამოგივათ საგამოფენოდ დიდ-ძალი მიწის შესამუშავებელი, სამეურნეო მაშინები უცხო-ქვეყნელ ექსპონენტებისაგანაო. რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებას გადაუდვია მედალები ჯილდოდ იმ ექსპონენტებისათვის, რომელნიც კავკასიის გამოფენაზედ თავს გამოიჩენენ და ისეთს რასმე გამოჰფენენ, რაც შეეხება სპეციალად ამ სატეხნიკო საზოგადოებას. ვარშავის ბაღოსნობის საზოგადოებასაც გადაუდვია კავკასიის გამოფენაზედ ღასარიგებლად ერთი დიდი ვერცხლის მენდალი, ორი პატარა ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოსი პატარავე.

*** ჩვენ მოგვივიდა პაწია წიგნაკი —„ლექსი კავკასიელ ახალ სალდათებზედ“, შედგენილი და გამოცემული ვილაც იოსებ გოგოძისაგან. წიგნაკი სულ თოთხმეტს ფურცელს შეიცავს, რომელშიაც მოყვანილია აბდა-უბდა, უაზრო ლექსები, ისეთი ლექსები, რომელსაც სკანდარნოვ-გივიშვილის მკითხველებიც - კი ტუჩის აპრუწვით დაჰხედავენ და არ მოიწონებენ. ლექსებში არეულ-დარეულად

# ფელეტონი

## კიკოლას ნაამბობ ზღაპრის გაგრძელება.

### ბერიკას ნაამბობი.

(ვუძღვნი აკაკის)

— შეხვედრით არ შემხვედრია და გაგონილი-კი მაქვს, რაც დაემართა იმ მოხუცს, მითხრა ბერიკამ, როცა აკაკის ზღაპარი*) წაუკითხე.

— აბა მოჰყევი, ჩემო ბერიკა, თუ გიყვარდე, შევეხვეწე მე, ცნობის-მოყვარეობით გატაცებული. ბერიკამაც აღასრულა ჩემი სურვილი.

— დიდხანს იარა საბრალო მოხუცმა, ბევრი გაჭირებაც გამოიარა, სანამ თავ-დაღმართს ჩამოათავებდა. ხან ქვას წამოჰკრავდა უბედური ფეხს, ხან ეკალი შემოედებოდა ჩოხის კალთაზედ და გააჩერებდა, მაგრამ დაცემით-კი არ დაცემულა და ეკლებსაც ადვილად იშორებდა თავის ყავარჯენით. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაიარა თავდაღმართი და მშვენიერ გაშლილ მინდორზე გამოვიდა. მზე ახალი ჩასული იყო და მხოლოდ მაღალის ხის წვეროები კიდევ ბრწყინავდნენ წითლად. ყველგან სიჩუმე იყო, თითქოს მთელი ბუნება მოსასვენებლად ემზადებაო. მოხუცი მივიდა ერთ ხის ქვეშ, დაებჯინა თავის ყავარჯენზე და გაიხედა იქითკენ, საიდამაც ჩამოვიდა, — აბა რასა შვრებიან ჩემი შვილებიო. საბრალოს ეგონა, იქნება მოვიდნენ გონზედ და ისევ შინ დაბრუნება მთხოვონო. მაგრამ ზევიდამ არაფერი ამბავი არ იყო, ყველგან დუმილი სუფევდა. დღე და ღამე უახლოვდებოდა ერთმანეთს: რამდენიმე წამი კიდევ და გაიყრებიან, ბნელი ზეწარი მოეფინება ქვეყანას, თითქოს ბუნება მოყვარული დედა იყოს ქვეყნისა და ეშინოდეს, ჩემს პირმშო შვილს არა მოეწყინოს-რაო.

დიდხანს იდგა ამ გვარად ჩვენი მოხუცი. საბრალოს ნაღვლით ევსებოდა გული და მასთან ძლიერ დაღლილიც იყო. იმისმა სუსტმა ფეხებმა ვეღარ გაუძლეს ამოდენა სიარულს და ლამის ემტყუნათ მისთვის, მაგრამ მოხუცი მაინც არ უტყდებოდა თავს, დაჰბჯენოდა ყავარჯენს და იდგა. ის უყურებდა, როგორ ბნელდებოდა თანდათან იმ სერს გადაღმა, სადაც თავისი შვილები ეგულებოდა, და განუსაზღვრელს ტანჯვასა გრძნობდა. „ვაითუ ამ გარეგან სიბნელესთან ერთად შინაგანმა სიბნელემაც მოიცვას იქაურობაო“, ჰფიქრობდა უბედური, მაგრამ, თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ ჯერ კიდევ არ დაკარგულა ყოველისფერიო, პატარა ხანს უკან ხელახლავ განათლდა იქაურობა. მთვარემ ამოჰყო თავი და ბნელ ქვეყანას ისევ მოჰფინა სინათლე. მოხუცს რაღაც იმედი მოეცა, გული გადაეშალა, თვალები გაუბრწყინდა და ორად ორი მარგალიტი გადმოსცვივდა. დიაღ, მოხუცს თვალები აევსო ცრემლით, მაგრამ ეს ცრემლი უფრო ტკბილ იმედისაგან იყო გამოწვეული, ვიდრე მწარე სასოწარკვეთილებისაგან. მეტი-კი ველარ გასძლო მოხუცმა ფეხზე და იქვე მშვენიერ ხავერდის მსგავს მოლზე წამოწვა. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს ჩვენი მოხუცი: იმისი ფართო, თუმცა მწუხარებისა ბეჭედ-დასმული, შუბლი, იმისი გრძელ-ბეწვებიანი, თოვლივით გათეთრებული წარბები, იმისი შავი, გრძნობით სავსე, ერთ დროს ცეცხლის მრქვეველი თვალები, იმისი სპეტაკი წვერი უფრო ზეციურ არსებას მოგაგონებდა, ვიდრე ამ ქვეყნისას. თავ-ქვეშ ყავარჯენი ამოიდო საწყალს, ზედ ხელები დაეფარებინა და იწვა პირ-აღმა, თითქო მთვარესა და ვარსკვლავებს ემუსაიფებაო. გავიდა პატარა ხანი და რაღაც ფრქიალი მოესმა მოხუცს. მოხუცი შეკრთა და სული განაბა.

ამ დროს მოისმა მშვენიერი ხმა და ისევ უცებ შესწყდა. თურმე ბულბულმა, რომელიც იმ ხეზედვე შემოჯდა, ხმა გაიწმინდა და მოემზადა საგალობლად. მოხუცს რაღაც ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, თითქო ეს არის სამოთხეში შეიყვანესო. სამოთხეში არ შეუყვანიათ, მაგრამ სამოთხის ანგელოზებრივი ხმები-კი გაიგონა. ცოტა ხანს უკან ბულბულმა მშვენიერი გალობა მორთო, თითქოს ეცლოდება უბედური მოხუცი და ნანინას ეუბნებაო. დიახ, ღვთის ნანინასავით მოესმა მოხუცს ბულბულის სტვენა, იგი გაიტაცა სხვა-და-სხვა ტკბილმა ფიქრმა. მოხუცმა უნებლიედ დახუჭა თვალები და პატარა ხანს უკან კიდეც დაეძინა. ვიშ, როგორ ნაზად ანათებს მთვარე, როგორ ტკბილად უსტვენს ბულბული, როგორ დაუყურა მოხუცს დაღლილი სხეული!..

დიდხანს ეძინა მოხუცს, დიდხანს. იმის ძილში ბევრჯელ გამოიცვალა ბუნებამ ფერი; ბევრჯელ გათენდა და დაღამდა; ბევრჯელ შემოიძარცვა ბუნებამ თავისი მწვანე ტანისამოსი და ბევრჯელ გაეხვია თეთრს სუდარაში; ისევ ბევრჯელ აყვავდა გაცოცხლებული ბუნება; ბევრჯელ გაყვითლდა თითონ ის ხეც, რომლის ქვეშაც მოხუცს ეძინა და ბევრჯელვე ამწვანდა, მოხუცს-კი სულ ეძინა და ეძინა, ეძინა, მაგრამ ისე ეძინა, რომ ყოველისფერი იცოდა, რაც იმის გარშემო ჰხდებოდა. განა მარტო გარშემო? ისიც იცოდა მოხუცმა, რაც იმის საყვარელ სერს გადაღმა ხდებოდა, როგორ სცხოვრობდნენ იქ მისი შვილები. თითქოს ბულბული, რომლის ნანინაზედაც დაიძინა, უამბობდა ყველაფერს და ისე ნათლად უხატავდა, რომ მოხუცს ეგონა, თითონ ჰხედავს თავის თვალებითაო.

აი, ჰხედავს მოხუცი, რომ, თითქოს განგება გაურისხდაო მამის უარისმყოფელ შვილებს, ერთმანეთთან მოუვიდათ ჩხუბი. ჰხედავს მოხუცი, რომ თუმცა საგანი ერთი აქვსთ, მაგრამ წვრილმანებზედ ვერ მორიგდნენ და მარადის შფოთსა და განხეთქილებაში გადის დრო. ჰხედავს ყველა ამას მოხუცი და გული უკვდება. უნდა რამე ნაირად საშველი მისცეს, მაგრამ რა ნაირად? აი, უკანასკნელ წერტილამდე მიაღწია განხეთქილებამ იმის შვილებს შუა და იძულებულნი არიან მოშორდნენ ერთმანეთს, გაიყონ თავიანთი ავლა-დიდება და ცალ-ცალკე დაესახლონ. მართლაც, ერთს მშვენიერს დღეს მოიყარეს ყველამ თავი და, დიდ ყიჟინსა და შფოთს შემდეგ, გაინაწილეს ყველაფერი. მაგრამ იმდენი სინდისიანობა კიდევ იხმარეს, რომ თავიანთ მამის მოსახლოობას არ ახლეს ხელი და ყველაფერი, როგორც იყო, ისე დასტოვეს საერთო მფლობელობაში. თითონ-კი სხვა-და-სხვა ადგილებზე გაიკეთეს სახლები. ერთი აღმა წავიდა და სერზედ გადმოდგა პატარა ქოხი, მეორემ ცოტა ქვევით ჩამოიწია, მესამე და მეოთხე განზედ გადგნენ, და ამ ნაირად სულ დაიქსაქსნენ.

ჰხედავს ამას საბრალო მოხუცი და ნაღველი ნაღველზედ ესხმევა გულში. ან-კი როგორ არ უნდა ეტკინოს მოხუცს გული, როდესაც ჰხედავს, რომ მამა-პაპეული სახლი, სადაც გაუტარებია თავისი სიყმაწვილე, სადაც ჩაუღვრია თავისი ოფლი, სადაც ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს, იმავე მდგომარეობაში ჩავარდა, რა მდგომარეობაშიაც იყო, როცა უცხოეთიდგან დაბრუნდა. ხელ-ახლავ დაიკეტა იმის სახლის კარები, ხელ-ახლავ გაუკაცრიელდა იქაურობა და სახლი წასაქცევად გადიხარა; ხელ-ახლავ დაესვა ყველაფერს უპატრონობის ბეჭედი; ხელ-ახლავ შემოეჩვია იმის საყვარელ კაკლის ხეს ყვავი და ყოველ დღეს რამდენიმე კაკალი მიაქვს; ხელ-ახლავ წაიღო იმისი ტურფა, კაცის გულის გამხარებელი ვარდნარი შამბნარმა...

— ღმერთო ჩემო, გაუელვა მოხუცს თავში ფიქრმა: ნუ თუ ყველაფერს თავის აღსასრულის დღე მოუვიდა და აღარაფერი საშველი არა აქვს? ნუ თუ არ გამოუჩნდება იმას ვინმე პატრონი, როგორც ამ რამდენისამე ხნის წინად მე გამოვუჩნდი?..

ეს იფიქრა მოხუცმა, თვალები ცრემლით აევსო და შემდეგის თხოვნით მიჰმართა თავისს გამჩენს:

— ღმერთო დიდებულო, შენ ყველაფერი შეგიძლია! გევედრები, მთლად ნუ აახრებინებ და ნუ გააუკაცრიელებინებ

*) იხ. „ივერია“ 1888 წ., № 247.

მოთხრობილია, რომ 1887 წელს „სალდათობა დამტკიცდა კავკასიის მხარესა“, ყველა გახარებულნი იყვნე ამ ამბით, „სალდათების“ ცოლ-შვილნი სიხარულით ცას ეწეოდნენ, რომ ქმრები აფიცრებად დაგვიბრუნდებიანო. აი ეს აზრია გაჭიმული 16 გვერდზედ უხამსად, უაზროდ და ტლანქად. არ ვიცით ვისთვის ჰბეჭდავენ ამისთანა ვითომ-და ლექსებს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რას ეტყვის მდაბიო კაცის გულსა და გონებას, რას გააგონებს, უაზრო სიტყვების უვიცად წალმა-უკუღმა რახა-რუხის მეტს. ეს წიგნაკი ერთი შაური ჰღირს. ჩვენი მდაბიო ხალხი ძალიან ეტანება თურმე ამისთანა წიგნაკებს და თითქმის თითეულში 2,000—3,000 იყიდება. თუ ეს მართალია, ფრიად სამწუხაროა, რადგან ამისთანა წიგნი რასაც არ გარყვნის და ზიანს არ მისცემს მკითხველს, სიკეთესა და სარგებლობას არაფერს მოუტანს.

*** გუშინ-წინ, 23-ს ამ თვისას, გოგილოს აბანოს ქვემოდ დაირჩო, მტკვარში ერთი თორმეტის წლის ყმაწვილი. საბრალო ძაღლს აბანავებდა თურმე. ძაღლის ყელზე მობმული ჯაჭვი ხელში ეჭირა. უკანასკნელად რომ გადაისროლა ძაღლი მტკვარში, თითონაც თან გადაჰყვა, ძაღლმა შუაგულს წყალში შეიტაცა და ჩასძირა მაშინვე. ბევრი ეძებეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ უპოვიათ დამრჩვალის გვამი.

*** სოფ. ბაკურციხე: ეს სამი წელიწადია ბაკურციხის ვენახებს ოლიერი აეშალათ: მოვა და მოახლოვდება თუ არა გომართობა, წამოუშენს დალოცვილი ცა სეტყვას და რეგვავს. თუ რომ სეტყვამ ვერა დააკლო-რა, დანაკლისს ნაცარი შეუსრულებს. ეს მეორე წელიწადია, რაც ახალი ავადმყოფობა „მილდიუ“ მოედო ვენახებს. ეს ახალი სენი შესამჩნევად იხილვება სოფ. გურჯაანში და ბაკურციხეში. ნაცრისა და მილდიუს საბრძოლველსაწამლებლად მთავრობამ გამოგზავნა აგრონომი ბ-ნი ინანაშვილი. მოსვლის უმალვე, მაისის დამდეგს, ბ-ნმა ინანაშვილმა სამი ვენახი აირჩია საწამლებლად: ერთი სოფლის თავში, ერთი შუაში და ერთიც სოფლის ბოლოს. პირველი ორი ვენახი გლეხკაცებისაა და მესამე, სოფლის ბოლოს, ბ-ნ ჩოლოყაშვილისა. დაუწყო თუ არა წამლობა ბ-ნმა ინანაშვილმა, ამ სამს ვენახს, ოთხივ-კუთხივ ეჭვით გამოჰყურებდნენ—აბა ერთი ვნახოთ მაგ ღვთის საწყენ საქმიდგან რა გამოვაო? საზოგადოება ასე ეჭვით უყურებდა და აზრობდა ინანაშვილის თავგამოდებულ შრომას. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მკითხველო: პატივცემული აგრონომი დილიდამ საღამომდე ჯერ-ჯერით სწამლობდა არჩეულ სამ ვენახს გოგირდის ნაელით და მილდიუს ებრძოდა ესრედ წოდებულის ბორდოს წყლით. ბ-ნ ინანაშვილის შრომამა და ამაგმა ამაოდ არ ჩაიარა და ნაწამლი ვენახები ლურჯად გამოიყურება. მილდიუს გაცრიატებული და გახუნებული ფერი ამ ვენახებში აღარ მოჩანს და ნაცარმაც ვერ გაბედა გამოჩენა. ამის მაგიერ უნდა უყურო, მკითხველო, ნაწამლ ვენახების მომიჯნავე და სხვა ვენახებს: ნაცარიც ბარაქიანად გადაედო ამ ვენახებს და მილდიუც ხომ აშკარადა სჩანს. მხოლოდ ეხლა, ბოლოს დარწმუნდა ჩვენი საზოგადოება, რომ ინანაშვილის წამლობა ღვთის წინააღმდეგი არ არის, რომ იგი წამლობა ღვთისაგან მონიჭებულის ჭკუაგონების გამოგონილი ნაყოფია და რომ როგორც ფუტკრის წმინდა სანთელია ღვთის სათნო და მოსაწონი, ისეც ეგ წამლობა. ეხლა იცემენ მომიჯნავეები თავში: რა ღმერთი გაგვიწყრა, ჩვენც არ ვაწამლებინეთ ჩვენი ვენახებიო. ეხლა გარემო სოფლებშიაც იმედი მიეცათ ვენახების მეპატრონეთ, რომ საბოლოვოდ ვენახები აღარ დაგვეღუპა და როგორმე ბრძოლას გავუწევთ ვენახების ამომწყვეტ სენსაო.

*** ოზურგეთი: «ივერიაში» ხშირად წაგვეკითხავს საჩივარი იმის თაობაზე, რომ სხვა-და სხვა ქალაქსა თუ დაბაში მეეტლები და მედილიჟნეები უსინიდისოდ ეპყრობიან მგზავრებს და იმდენს ახდევინებენ, რამდენსაც თითონ მოისურვებენო. ოზურგეთიდგანაც ამ გვარივე ამბავი უნდა მოგაწოდოთ. ოზურგეთიდგან ნატანების სადგურამდე დილა საღამოობით დადის ორი-სამი დილიჟანი და ექვსი ეტლი. ის-კი არ იფიქროთ, რომ მეეტლეები და მედილიჯნეები ერთსა და იმავე ქირას ახდევინებდნენ მგზავრებს. არა, ქირის რაოდენობა იმათ ნებაყოფლობაზე არის დამოკიდებული და დღეს ხომ ორს აბაზს გამოგართმევენ, ხვალ უთუოდ მანეთი უნდა აგაპვლიჯონ. ერთხელ ეს ბატონები ისე დათამამდნენ, რომ პირობა შეკრეს— არამც და არამც თითო მგზავრს მანეთზე ნაკლები არ გამოეართვათო. ამ ამბავს მთავრობამ ათხოვა ყურადღება და საქმე სასამართლოში გაირჩა. მოსამართლემ თითო მეეტლეს და მედილიჟნეს თხუთმეტ თხუთმეტი მანეთი ჯარიმა გადაახდევინა. ამის შემდეგ ერთმა აქაურმა მცხოვრებმა, ბ-ნმა ტ. ნ—ძემ, გამართა დილიჟანი და თითო მგზავრი თხუთმეტ შაურად დაჰყავდა, მაგრამ დიდს ხანს ვერ იძეირა. აქაური გზა ვიღაც მალაკნებმა იჯარით აიღეს და პირველხანობით ქირა ორი აბაზი დანიშნეს. ამ სახით სამი შაური დაუკლეს, მაგრამ მალე მანეთი გახადეს. ამიტომ ოზურგეთელები იძულებულნი გახდით ამხანაგობა შეედგინა. ამ ამხანაგობაში დღეს ასიოდე კაცი ითვლება და ფულიც არის შეგროვილი. ამხანაგობასა აზრადა აქვს გამართოს დილიჟნები და ეტლები და, რამდენადაც შესაძლოა, იაფად ატაროს მგზავრები.

*** პარის-ოსეთი: ბარის-ოსეთში მაისმა რიგიანად გაიარა, მაგრამ თიბათვემ-კი სწორედ საქმე გაგვიჭირა და აღარ იძლევა საშველს: დილით რომ მზე გამოვიდეს, შუადღის შემდეგ უეჭველად უნდა წვიმა დაუშვას ხოლმე. მშვენიერი ყანები ლამის სულ ერთიან ჩააყვითლოს მეტის-მეტმა წვიმამ და ხალხს სამუშაოდ აღარ უშვებს. ამ დაჟინებულს წვიმებს თან ცივი ჰაერიცა აქვს, ასე რომ იძულებულნი ვართ ზამთრის ტანთ საცმელი ვატაროთ თიბათვეში.

*** «მშაკსა» სწერენ ფოთიდამ იქაურ ვაჭრობის დაცემულ მდგომარეობის ამბავსა და იქაურ სომხობის ვითარებას. ბევრი სომეხი გადავიდა ბათუმში და დანარჩენები გულხელ დაკრეფილნი იგონებენ წარსულ ბედნიერებასაო. ამ ჟამად სომეხ-მოვაჭრეთა რიცხვი 20 კომლამდეა, რომელნიც აქ ცოლ-შვილითა სცხოვრობენ. ამათ გარდა დროებით მოსული მუშა კაცი 200 სულამდეა. ესენი სომხეთიდამ არიან დროებით მოსულნი, შავ-ქვაზედა მუშაობენ და დიდის გაჭირებითა სცხოვრობენ. ვიღაცებს მოუტყუებიათ, კარგი სამუშაო იშოვებაო, ეხლა თავსა და ბედს იწყევლიან და ნანობენ, სამშობლო ქვეყნიდამ უცხოობაში რათ წამოვედით და ცოლ-შვილი ოხრად რად დავყარეთო.

---

## გზა და გზა და გაკვრით

(წერილი სამეგრელოდამ)

ქალადიდის საზოგადოებაში სხვათა შორის არის სოფელი სალეამიჩეო, სადაც ორმოც-და-ათამდე მცხოვრებია. ამათ შორის არიან აზნაურნიც: ბერძენი და ლომიჩავა. ხსენებული აზნაურნი გვარიანი შეძლებულნი არიან, მაგრამ, თუმცა ქუთაისი, ფოთი, ოზურგეთი და ზუგდიდი ახლო უძევს იმათს სოფელს სალეამიჩეოს, არავითარი ქართული ჟურნალი და გაზეთი არც ერთს მათგანს არ მოსდის. წერა-კითხვა ქართულად ამ აზნაურიშვილებში, როგორც მითხრეს, ყველამ ჩინებულად და კარგად იცის. იმათ გარდა წერა-კითხვა ქართულად თითქმის ნახევარს ნაწილს გლეხობისას კარგად სცოდნია. ამ მხრით, აქაურის მხრის სოფლის გლეხობა წინ წასულა ქართლის სოფლების გლეხობაზედ, რომელიც მუდამ დღე შრომობს, მუშაობს და თავისუფალს დროს, სწავლისა და საწერ-კალამის ხელში აღების მაგივრად, ლოთობს, უთავდარიგოდ ჰფანტავს შეძენილს ცხოვრებას და სწავლისათვის-კი არა ზრუნავს.

---

ქამთა ვითარებას ჩემს მამა-პაპეულს სახლ-კარს, გონზე მოიყვანე ჩემი შვილები! მანამდის ნუ ამომახდენ, ღმერთო მაღალო, სულს, სანამ არ დავინახავ რაიმე ნაყოფს ჩემის იმდენ შრომისას, ტყუილად ნუ ჩამირონინებ ჩემს მარტო ხელობას, ტანჯვასა და ვაებას!..

ეს სთქვა მოხუცმა თავის გულში და იწყო ლოდინი. გავიდა რამდენიმე ხანი, მოხუცი დაღონებული მისჩერებოდა დასანგრევად მომზადებულს სახლს. „ბოძებს შეუყვენებდნენ მაინც ჩემი შვილები იმ სახლს, რომელშიაც თითონ დაიბადნენო“, ჰფიქრობდა მოხუცი, მაგრამ დრო მიდიოდა და პატრონი არსად ჩნდებოდა. იმის შვილებს ყველას თავისი საქმე ჰქონდათ და ფეხებზედ ეკიდათ მამა-პაპეული სახლი და იმისი საქმე. «საერთო სახლია, სულელი ვიქნები, მე გავაკეთო?», ამბობდა თითოეული მათგანი: „ჩემმა ძმებმა გააკეთონ, მე ისეც ბევრი საქმე მაქვსო“. მაგრამ არასოდეს არ უთქვამს სხვისათვის, რომ იმას გაეკეთებია. თითო ხე რომ მიეტანა თითოს, მეტი არ იყო საჭირო, მაგრამ ვისა სცალოდა ხის მისატანად იქ, როცა ყველა საკუთარს, პირად საქმეს ემსახურებოდა. ამასობაში დროთა ვითარება თავისას შერებოდა და მამა-პაპეულს სახლს მეტი არ შეეძლო. რამდენიმე დრო კიდევ და კაცი ველარ მივა იქ, ისე წაილებს ყველაფერს აწწლი და ჰინჭარი, ხავს-მოკიდებულ სახურავს ველარ დაიმაგრებენ დამპალი ბოძები და ჩამოწვება, საძირკველი ველარ გასძლებს მეტს და მტვრად იქცევა...

მაგრამ ჩუ!.. ეს ვინ არის, დაღონებული რომ დადის ძველს სამოსახლოზედ? ვინ არის, ასე გულით რომ ათვალიერებს ყოველისფერს და სახეზე ღრმა ფიქრები ეხატება?.. ეს ჩვენის მოხუცის უფროსი შვილი-შვილია. იგი ეხლა დაბრუნდა უცხოეთიდამ და მაშინვე თავის ბაბუას, იმ ბაბუას, რომელიც იმას უყვარდა, სახლის სანახავად მოვიდა. თვალები ცრემლებით აევსო და ვერ მიმხვდარიყო, როგორ მიუტოვებიათ იმის მამა-ბიძებს ეს მშვენიერი ედემის მსგავსი ადგილი და სხვაგან დასახლებულან? ვერც იმას მიმხვდარიყო, რატომ ვერ უცხოვრიათ იმათ ერთად და დაყოფილანო? «არა, მე მაინც აღარ მივატოვებ აწი ამ ადგილსაო», ჰფიქრობს ახალგაზდა: „მე ვეტყვი ჩემს ძმებს, ჩემს ბიძაშვილებსაც ავაგულიანებ და აქ დავესახლებით. მერე ვერ დავეტევით ყველანი ერთად თუ? რა მაგდენი ვართ, რომ ჩვენც ცალ-ცალკე გავიჩხიროთ? მერე ერთად ცხოვრებას რა სჯობია? უფრო ადვილად ვერ მივაღწევთ საზოგადო შრომით ჩვენს წადილს? უფრო არ გაგვიადვილდება ბრძოლა ბუნებასთან და სხვა ხელის შემშლელ გარემოებებთან?..“ ეს იფიქრა და წავიდა თავის მამის სახლში, რომ თავის წადილის შესრულებას შესდგომოდა.

მეორე დღეს ამ ადგილზედ მოისმა ხმაურობა და დაიწყო მუშაობა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი თავის ბიძაშვილი მოიმხრო ჩვენმა ახალგაზდამ, მაგრამ იმედი აქვს, რომ სხვებიც მალე მიემხრობიან. ერთ იმის ბიძას-კი არაფრად ეჭაშნიკა თავის ძმისწულის ამისთანა მოქმედება.

— ეს ჩვენი ყველასია და მარტო შენ გინდა ისარგებლო? უთხრა იმან ძმისწულს.

— მე მარტო სრულიადაც არ მინდა ვისარგებლო, თუ გინდა შენც მოდი ჩემთან, მიუგო ძმისწულმა.

— მე შენთან არ მოვალ და არც მუშაობის ნებას მოგცემო, უთხრა ბიძამ.

ბიძას გული მოუვიდა და წყრომა დაიწყო. ეს ველარ მოითმინა ძმისწულმა და თითონაც გულ მოსულმა უთხრა:

— როგორ, იმაზედ ხომ არ გვიწყრებით, რომ ისე არ მოგექცევით, როგორც თქვენ მოექეცით ბაბუა ჩვენს.

ამის გაგონებაზედ ბიძამ აღარაფერი აღარა სთქვა და გახელებული წავიდა.

— ეგ ალბად ყველა მამა ჩვენებს მოიმხრობს და საჭიროა ჩვენც უფრო ბევრი ვიქნეთო, სთქვა ახალგაზდამ და გადასწყვიტა მეორე დღისთვის კიდევ ეშოვნა მომხრეები.

იმ ღამეს დიდი ამბავი იყო იმათ ოჯახებში. მამებს გული მოსდიოდათ, მაგრამ ახალგაზდობა მაინც ჩვენს ყმაწვილებს მიემხრო, როცა შეიტყო, რომ მამებსა და მათ შუა უთანხმოება ჩამოვარდა. მეორე დღეს სამის კაცის მაგიერ ბევრი მუშაობდა. ასე გასინჯეთ, პატარა ბალღებსაც იმათთან მოეყარათ თავი და კაკლის ძირში რიკ-ტაფელას თამაშობდნენ. მამებმა როცა დაინახეს, რომ ძალა შვილებისაკენ იყო, თავი დაანებეს და თავისთვის გაჩერდნენ. „ბავშვებია, პატარა ხანს თავს შეიყოლიებენ და მერე ისევ ჩვენთან მოვლენო“, ჰფიქრობდნენ ისინი, მაგრამ შვილები არა ხუმრობდნენ: იმათ რამდენისამე დღის განმავლობაში ააგეს მშვენიერი სასახლე, გამარგლეს, გააკეთეს ბაღები და ყველანი ერთად დადგნენ. მამა-პაპეული სახლიც შეაკეთეს და როგორც წმიდა-წმიდათას, ისე უყურებდნენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი უმცროსი ძმებიც, როცა წამოიზრდებიან, იმათ მიემხრობიან. ან-კი ვინ იქნება იმისთანა სულელი, რომ ულირსი მამები არჩიოს და ეს მშვენიერი სასახლე, სადაც სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, იმათ გლახა ქოხებზე გასცვალოს? იქ ცალკ-ცალკეობა, ერთმანეთის შური და მძულვარება არსებობს, აქ-კი ერთობა და სიყვარულია; იქ ერთი ბატონი არის ოჯახისა და ყველანი იმას უნდა ემორჩილებოდნენ, როგორც კარგში, ისე ავში, აქ-კი სრულიად თანასწორობა და თავისუფლებაა; იქ უფროს-უმცროსობაზეა საქმე: ვინც უფროსია, თუნდ სულელიც იყოს, მაინც უნდა ჰმორჩილებდნენ, აქ-კი პატივსა სცემენ შენს ღირსებას და მოწიწებით ისმენენ შენს მოსაზრებას; იქ... მაგრამ ვინ ჩამოსთვლის იქაურ და აქაურ სხვა-და-სხვაობას? მარტო ის რად ღირს, რომ იქ თითქმის ყველა ოჯახში მოიძებნება თითო ოროლა ტყუილად მჭამელი, აქ-კი დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, ყველასა აქვს თავისი საქმე, ყველა კმაყოფილია, როცა ხედავს, რომ თითონაც საჭიროა და იმისი ნაწილიც ურევია საერთო შრომაში. აქ თუ ერთი ვინმე შეწუხდა, უეჭველია ყველა შეწუხდება, რადგან ყველა თითქოს ერთს სხეულს წარმოადგენს და ყოველს ნაწილს ამ სხეულისას მცირე ნაწილის სატკივარიცა სტკივა. ამიტომ თუ ვისმე რამე აწუხებს, ყველა სცდილობს განათავისუფლოს იგი ამ მწუხარებისაგან და განათავისუფლებენ კიდეც, რადგან როცა ყველას ძალა ერთს რასმეზეა მიმართული, მაშინ საქმე ხელიდგან არ წაუვათ, საერთო ძალას აბა რა დაუდგება წინ?.. აქ უეცრად შესდგა ბერიკა.

— ხომ კარგი ცხოვრება ჰქონიათ, მკითხა მე: როდის იქნება ჩვენც გვეღირსოს ამისთანა ცხოვრება... ეს სთქვა, მწარედ ამოიოხრა და გაჩუმდა.

— რა ჰქენი, ბერიკა? გაათავე ჯერ ეგ ზღაპარი და მერე ოცნებას მიეცი თავი, ვუთხარი მე.

— რაღა გავათავო, ამაზე უკეთესად რაღას გავათავებ?

— იმ მოხუცს რა დაემართა, ის მაინცა სთქვი!

— მოხუცს რა უნდა დამართოდა? როცა დაინახა, რომ მისი მამა-პაპეული სამოსახლო ხელ-ახლად გაცოცხლდა და აყვავდა ამ ნაირად, როცა დაინახა თავის შთამამავლობის ამისთანა ბედნიერება, ღმერთს მადლობა შესწირა და სთქვა სვიმეონიეით, ქრისტე რომ აზა: „აწ განუტევე, უფალო, სული ჩემი სასუფეველსა შენსა, რათა თვალთა ჩემთა იხილეს, რაც მენატრებოდაო!“ ღმერთმაც უსმინა მოხუცს, გამოგზავნა მიქელ-გაბრიელი და მთავარ-ანგელოზი და წააყვანია მისი სული ცაში...

ნეტავი იმ მოხუცს, მკითხველო!..

დუტუ მეგრელი

სოფ. სალვამიჩეოს გლეხობა, ქალი და კაცი, რიგიანადა და წესიერად არის ჩაცმული, თუმცა შეძლებით ისინი ქართლის გლეხობაზედ ღარიბები არიან. იმათ სოფელში, სალვამიჩეოს, ძალიან კარგი ნოყიერი მიწა ყოფილა, მაგრამ სიმინდისა და ლომის მეტი, ისიც ცოტა, იმათ არაფერი მოჰყავთ. აქაურმა გლეხობამ, დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, იმდენი რომ იჯაფოს და იშრომოს, რამდენსაც მუშაობენ ქართლის გლეხები, მაშინ ესენი იმათზედ ხუთის წილით შეძლებულები იქმნებოდნენ ყოველის მხრით, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ დიდი მუშაობა და შრომა არ უყვართ და მომეტებულს ნაწილს დროისას აქეთ თუ იქით სიარულში ჰკარგავენ.

ხსენებულს სოფელში შტატის ეკკლესიაა აშენებული, სადაც მღვდლად იმყოფება მოძღვარი ისიდორე ბაბილუა. პატივცემულს მღვდელს ბაბილუას ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა აუშენებია ეკკლესიის ახლო თავისს საკუთარს ადგილზედ თავისის ხარჯით. თუმცა ჯერ-ჯერაობით სკოლა შიგნით არ არის გამართული და მოწყობილი, ყმაწვილები ოცამდე მაინც დადიან და სწავლობენ ქართულსა და რუსულს წერა-კითხვას. აქ ყველა ყმაწვილებს აქვთ, როგორც გავიგე, დედა-ენა, შედგენილი იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის მიერ. როგორც მოძღვარმა, ისიდორე ბაბილუამ მითხრა, ბავშვები ქართულად წერა-კითხვას საკმარისად კარგად სწავლობენო. სწავლაში ამ სოფლის ბავშვებს ბაბილუა არაფერს ართმევს და მასწავლებლად ჰყავს თავისივე შვილი ილია, რომელიც დიაკვნად ითვლება მამის მრევლში. იმ ყმაწვილებისაგან-კი, რომლებიც სხვა-და-სხვა საზოგადოებიდგან არიან, იღებს სწავლის ფასს თვეში ათ შაურს. ხსენებულს მღვდელს ბაბილუას ხაზინიდგან წელიწადში ეძლევა თორმეტი თუმანი ჯამაგირი, შვილს მღვდლისას-კი სამი თუმანი. დრამას შვილი და მამა მრევლიდამ იღებენ წელიწადში ათ თუმნამდის, სხვა-და-სხვა შემოსავალიც ექნებათ ხუთ თუმნამდე, ასე რომ მთელი შემოსავალი ოჯახისა წელიწადში ოც-და-ათს თუმანზე მეტი არაფრით იქნება. ქართლის მდიდარს მღვდლებს ორიოდე სამდურავის სიტყვა უნდა გავუბედო ამის გამო. თუ სოფ. სალვამიჩეოს მღვდელი, როგორც ზემოდ ვსთქვით, მცირე შემოსავლით თავის ცოლ-შვილს ინახავს, კიდევ ერთ-კლასიან სამრევლო სკოლას ჰმართავს და ამ ნაირად თავისი წილი სარგებლობა მოაქვს, ქართლის მღვდლებს, რომლებსაც სამოცი, ოთხმოცი, ასი თუმანი აქვსთ წელიწადში შემოსავალი, რა ემართებათ, რომ არა ჰმართავენ ნელ-ნელა სამრევლო სკოლებს, რომ მცირე ნაწილი თავ-თავისის სწავლისა გლეხების შვილებსაც მიაწოდონ და ამითი მაინც ცოტა გზა და კვალი გაუნათლონ სიბნელეში ჩაცვივნულ თავიანთ სულიერ ძმათა და შვილთა?!

სააბაშიძელი

## ოსური ლეგენდა

ქ. კავკავის სამხრეთისაკენ, ოც-და-თვრამეტის ვერსის სიშორეზე, მდებარეობს სოფ. ყადგარონი. ყადგარონი, როგორც სხვა სოფლები ბარის ოსეთისა, სახნავ-სათიბით მდიდარი სოფელია და ტყე ხომ თითქმის ზედვე აკრავს. სოფ. ყადგარონზედ მარჯვნივ, ორს ვერსზე მოშორებით, ტრიალ მინდორზედ, რგვლად და მშვენივრად აყრილი პატარა ტყე, რომელსაც ოსები ეძახიან: „ხეთაჯიკოხს“, იზიდავს გამვლელ გამომვლელის ყურადღებას. ამ პატარა ჯგუფად აყრილს ტყეში კაცი იპოვნის ბევრ ნაირს გარეულ ხილსა და სხვა-და-სხვა ხეს, მაგალითებრ: თხილს, პანტას, მაჟალოს, შვინდს, ზღმარტლს, მუხას, წიფელას, რცხილას, თელას და სხვა და სხვ. ერთის სიტყვით, ეს პატარა რგვალი ჯგუფი ტყე მეტადრე ხამს კაცს თვალს უნათლებს და გულს უმხიარულებს. ამ პატარა რგვლად აყრილს ტყეზე აი რას მოგვითხრობენ ოსები. ხეთაჯი კაცის სახელია და თურმე იყო ნარაში მცხოვრები, წმინდა და ღვთის საყვარელი კაცი. იმას ჰყავდა ერთი ამხანაგი თავისავით წმინდა, ღვთის მოსავი, სახელად «ბურსამჯელი». ერთ დღეს ხეთაგის ამხანაგმა ბურსამჯელიმ დაიჭირა ცისკარი ვარსკვლავი (ოსურად „ბოვირნონი“) და დაკეთილს სკივრში ჩაამწყვდია, რადგანაც ცისკარი ხალხის მტერი იყო თურმე. თითონ-კი თავისს საყვარელს მხარეში, ტფილისის ქალაქში, წავიდა მგზავრად. ბურსამჯელი როცა მგზავრად მიდიოდა, თავისს ცოლს უთხრა: არამც და არამც სკივრის კარი არ გაალოვო. კარგა ხანი რომ გაიდა ბურსამჯელის წასვლის შემდეგ, მივიდა ერთი ვინმე მტერი ბურსამჯელისა ბურსამჯელის ცოლთან სტუმრად. ბურსამჯელის მტერმა დაათვალიერა სახლი და დედაკაცს გამოჰკითხა: აქ რა გაქვსთ, აქ რა გყავთო. დედაკაცმაც პასუხი მისცა. მერე მივიდა სკივრთან, სადაც ცისკარი იყო ჩამწყვდეული, და ჰკითხა დედაკაცს: ამაში რაღა გყავთო. დედაკაცმა ვერ გაუგო ცბიერება და უთხრა: ცისკარი დაიჭირა ჩემმა ქმარმა და ისა გვყავს ამაში ჩამწყვდეულიო. ახ, ნეტავი-კი მაჩვენა როგორიაო, ცბიერებითვე უთხრა სტუმარმა. დედაკაცმაც სტუმრის ნატვრა აღასრულა, გაალო სკივრის კარები და ახადა თავი თუ არა, გაფრინდა ცისკარი. რასაკვირველია, თურმე ეს ამბავი ქალაქში გაიგო ბურსამჯელიმ და გაჯავრებული წამოვიდა შინისკენ. ცისკარმაც გადაუხადა სამაგიერო ბურსამჯელის იმითი, რომ დააწყებინა ცას თოვა და იმდენი თოვლი მოვიდა, რომ, ონის ქალაქამდე რომ მოატანა ბურსამჯელიმ, ცხენს თოვლი ბეჭამდე (ონიონგ) შემოსწვდა (ონ ოსურად ბეჭია და ოსების აზრით სახელი ბურსამჯელიმ დაარქვა ონს, რადგანაც თოვლი იმ ალაგას იმისს ცხენს (ონიონგ) ბეჭამდე შემოსწვდა). მაშინ გაჯავრებულმა ბურსამჯელიმ დასწყევლა კავკასიის მთები და უთხრა: ამიერიდგან თოვლი აღარ აილოს თქვენგნითაო და ამიტომაც დღესაც კავკასიის მთებზედ აღარა დნება თოვლიო.

რამდენისამე ხნის შემდეგ ხეთაგი და ბურსამჯელი ორივენი ერთად წავიდნენ თავიანთ საყვარელ მხარეს—საქართველოში და ჩავიდნენ ქალაქს. ქალაქში იმათ შემოხვდათ ეშმაკი. ეშმაკს ერთი მშვენიერი ქალი დაჰყავდა გასასყიდად. ხეთაგმა და ბურსამჯელიმ ჰკითხეს ეშმაკს, როგორ ჰყიდი ქალსაო. ეშმაკმა უთხრა: ვინც სამს სიტყვას ამიხსნის, იმას მივსცემ ქალსაო. ორივენი დასთანხმდნენ. ეშმაკმა წინად ბურსამჯელს ჰკითხა, მაგრამ ბურსამჯელიმ ვერ აუხსნა; მერე ჰკითხა ხეთაგს და ხეთაგმა ახსნა ეშმაკის საკითხი. რასაკვირველია, ქალი დარჩა ხეთაგს. ხეთაგმა ქალი წამოიყვანა ნარაში, ცოლად შეირთო და რამდენისამე ხნის შემდეგ ვაჟი გაუჩნდა. კარგა ხნის შემდეგ ახლა ბარის ოსებისაკენ წავიდა ხეთაგი, იქიდგან თურმე უკან რომ დაბრუნდა შინისკენ, მოვიდა და დაისვენა ამ პატარა რგვლად აყრილს ტყიანს ალაგას (მაშინ მარტო მინდორი ყოფილიყო), დაიხადა ბანდულები და ახალ თივას იგებდა შიგ. ამ დროს უხილავი ხმა შემოესმა ღვთის-მოსავს ხეთაგს: „ჰაი, ხეთაგ, გაიქე ჩქარა ტყისკენ, თორემ ყაჩაღები მოგეწევიან და ცუდად არის შენი საქმეო“. ხეთაგი ისეთი ღვთის კაცი იყო, რომ მაშინვე უხილავს ხმას ასე უპასუხა: „ხეთაგი ტყეში ველარა, მაგრამ ტყე თითონ ხეთაგთანაო“. მაშინ მართლაც ეს რგვალი, ე. ი. ჯგუფი ტყე შემოერტყა ხეთაგს და ამით გადარჩა ყაჩაღებს. მას აქეთ ხეთაგი ველარავინა ნახარა იქნა. მას დღეს აქეთ ოსები ამ პატარა ჯგუფ ტყეს ეძახიან „ხეთაჯიკოხს“, ე. ი. ხეთაჯის ჯგუფს, ანუ ბუჩქს. ამასთანავე გვარწმუნებენ ოსები, რომ დღესაც არავის შეუძლიან იმ ტყიდგან ერთი წკირი რამ წაიღოს შინა, ან შეშა და ან ხილიო; იმ ალაგას-კი რამდენიც უნდა დაწვას კაცმა შეშა და ჭამოს ხილი, არა უშავს-რაო. აგრეთვე ამბობენ ოსები, რომ ერთხელ არდონიდგან პოლკის უფროსმა გაგზავნა რამდენიმე ჯარის-კაცი იმ ტყიდგან შეშის მოსატანად დაქადებულმა, აბა მე ნუ დამანებებს შეშასაო. შევიდნენ თუ არა თურმე ჯარის კაცნი ტყეში, ზოგს რა მოუვიდა და ზოგს რა, ყველანი ავად დახდნენ. მერე თვით პოლკის უფროსმა სამღვთო შეხწირა და განიკურნენ ჯარის-კაცებიო. ხეთაგს დარჩა ერთი ვაჟიშვილი. შვილმა ხეთაგისამ, როცა წამოიზარდა, ცოლი შეირთო და იმის შთამომავლობას გვარად დაერქვათ ხეთაგუროვები, რადგანაც ხეთაგის შთამომავლობისანი არიან, და სცხოვრობენ ნარაში.

ქართველი ოსეში

## მილიონები

წერილები დე-გარნიისა

(შემდეგი*)

ხასიათის სასტიკობამ, ერთი და ერთი მიღებულ ჩვეულებათა ათვალწუნებამ და მიუნდობლობამ თავისთა მახლობელთა და ხელ-ქვეითთა მიმართ როტშილდს ბევრი მტერი აუჩინა, თუმცა-კი ისინი, რომელნიც პირადად იცნობდნენ ამ დიდებულს ფინანსისტს, აქებდნენ და აღტაცებით იხსენიებდნენ იმისს უნარსა და საქმიანობას. ლონდონის ბირჟაზედ ეხლაც-კი ცნობის-მოყვარეთ დაანახვებენ თურმე იმ სვეტს ბირჟისას, სადაც ამ საოცარმა მხარ-ბეჭიანმა და კისერ-ჩასქვრენილმა კაცმა იცოდა ხოლმე დგომა გულ-არხეინად, თითქო არაფერსა ჰხედავს და თვალ-გაშტერებულიაო, მაგრამ ნამდვილად-კი არაფერი გამოუპარებოდა, არც ერთი სიტყვა. იმას კარგად ესმოდა თავისი მდიერება და ცბიერნი და მაქებელნი ფრიად სძულდა და ეჯავრებოდა. „მე და თქვენ ერთმანეთის ტოლნი და სწორნი ვართო, უთხრა თურმე როტშილდმა ერთხელ ჰერცოგ დე-მორმორანსის: თქვენ პირველი ქრისტიანე ბარონი ხართ და მე პირველი ებრაელთა ბარონიო“.

იგი ჩვეული იყო თავისს სახლში ნახვას პრინცებისას, ინგლისის პერებისას, მინისტრებისა და ელჩებისას და ამიტომ ხარისხოვანებას ძალიან გულგრილად ეპყრობოდა: ერთხელ როტშილდს New-Court'ში ერთი გერმანელი პრინცი ეწვია რაღაც საქმისათვის. ეს პრინცი გულ-ზვიადობით სავსე იყო, უზრდელი და მოუხეშავი, როტშილდი-კი—წარბ-მოხუშული და თავისს საქმეებში გულ-გართული. აშკარაა, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთში ვერ მორიგდებოდნენ და ვერ შეთანხმდებოდნენ. როცა მოსამსახურემ როტშილდს პრინცის სახელი და ხარისხი მოახსენა და პრინციც შევიდა ოთახში, სახლის პატრონი ქაღალდებით სავსე სტოლთან იჯდა და რიღასაც წერაში იყო გართული. სტუმრის შესვლისათანავე როტშილდმა სალამი მისცა, თავი დაუკრა, თვალით სკამი ანიშნა და კვლავ საქმეს მიჰყო ხელი. პრინცს ასე არსად დახვედრიოდნენ, ეტყობა და ამიტომ რამდენსამე ხანს გაშტერებული იდგა ფეხზედ.

— ალბად არ იცით ვინცა ვარო, წაილაპარაკა ბოლოს პრინცმა.

— როგორ არა, მოსამსახურემ მომახსენა თქვენი ვინაობა, უპასუხა საქმეში გართულმა როტშილდმა: ამ წუთს მოვიცლი, მანამდე-კი დაბრძანდით.

— მე პრინცი გახლავართ...

— მართლა!.. მაშ ორი სკამი ინებეთო, უპასუხა თურმე არხეინად როტშილდმა.

თუმცა როტშილდი ფრიად მდიდარი იყო, ფრიად შეძლებული, მაინც თავისს ცხოვრებას არ ემადლიერებოდა და თავისს მშვენიერს რეზიდენციას New-Court'ს და Gunnersboury-hous'-ში ცხოვრების დროს ბევრჯელ უგრძვნია ამ კაცს მტრების შეუბრალებელი სიძულვილი და მოშურნეთა შური.

— ბედნიერი!.. მე ვარ ბედნიერი?.. უთხრა თურმე ერთხელ ნატანმა თავისს მეგობარს ტომას ბექსტერს, რომელიც აღტაცებაში იყო როტშილდის სიმდიდრითა და იმისის სახლის მოწყობილობით: განა შესაძლებელია ბედნიერება იქ, სადაც თითქმის ყოველ დღე სადილი ჩაშხამებული გაქვს და წერილები მოგდის, რომ ქათამსავით დაგკლავთ, თუ ამა-და-ამ ალაგს 5,000 მანეთს არ გაგვიგზავნითო?

ამბობენ, რომ ასეთს უსიამოვნებას ადამიანი მიეჩვევაო. რაც შეეხება როტშილდს, ის-კი ვერაფრით მიეჩვია თურმე და ისე იყო შეშინებული, რომ უდამბაჩოდ ლოგინში არ ჩაწვებოდა. მართალი რომ ვსთქვათ, ასეთი სიფრთხილე საჭიროც იყო, რომ ნატანს ხშირად ზომას არ გადაემეტებინა.

ერთხელ იმის კაბინეთში ორი უცნობი კაცი შევიდა. ამათ არა სთქვესრა, დიდად შეშფოთებულნი იყვნენ, ერთმანეთს გაოცებით შესცქეროდნენ და ჯიბეში რაღასაც იხრეკავდნენ. როტშილდს მაშინვე გაუარა ფიქრმა, რომ ესენი სწორედ ავაზაკნი უნდა იყვნენო, მაშინვე წამოავლო ხელი შეშინებულმა უშველებელს დავთარს, თითბრით შეჭედილს, და ერთს მათგანს თავში დასთხლიშა. თავში დაკრული იქვე დაეცა, ხოლო მეორე ამხანაგმა-კი მოჰკურცხლა და ისე მგონია თურმე, რომ ბარონი ჭკუიდგან შეიშალაო. მოცვივდნენ ხმაურობაზე მოსამსახურენი, გაქცეულიც დაიჭირეს, მირს დაცემულიც წამოაყენეს და ყველაფერი გამოაშკარავდა. უცნობნი სხვა ქვეყნის ბანკის პატრონები იყვნენ, როტშილდთან რაღაც საქმისათვის მოსულიყვნენ, შეკრთნენ თურმე პირველში, რომ დაინახეს დიდებული ფინანსისტი, და წერილებს ეძებდნენ ჯიბეში, რომ გადაეცათ როტშილდისათვის. ნატანმა თავი მოიბოდიშა, დაჰპატიჟა სტუმრები და სცდილობდა გული მოეგო და გაექარწყლებინა თავისი არა-საკადრისი საქციელი.

ხანდახან როტშილდი მოწყალეც იყო, გულკეთილი, მაგრამ ამ გულკეთილობას ისე სჩადიოდა, რომ ადამიანს თავს გააკილვინებდა ხოლმე. განსაკუთრებული ხასიათი ამ კაცს ის ჰქონდა, რომ სძულდა ადამიანიშვილი, რაც ადვილი ასახსნელია და პირდაპირი შედეგია იმის უშველებელის ქონებისა.

— ხანდახან თავს ვირთობ იმითი, რომ მათხოვარას ოქროს გადავუგდებ ხოლმეო, ამბობდა როტშილდი: ამ დროს უნდა ნახოთ რა სასაცილოდ გაოცდება. ყოველთვის ასე ჰგონია, რომ შესცდაო, უცაბედად მომცა ეს ფული, ეხლავე უკან მომთხოვსო, და გარბის, რაც შეუძლიანო.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 97, 98, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 126, 127, 128 და 129.

# დეპეშა

24 ივნისი

ვიტებსკი. დღეს აქაური საქალაქო თეატრი დაიწვა.

სოფია. ბოლგარიის მმართებლობამ ერთის ამერიკელ მეფინანსეთა ამხანაგობის შუამავლობით ისესხა 25 მილიონი ფრანკი.

რომი. თუმცა იტალიის მმართებლობა უარსა ჰყოფს, გაზეთი „დირიტტო“ მაინც დაბეჯითებით ამტკიცებს თავის წინად მოხსენებულ ამბავს, რომ იტალიის მმართებლობა დაჰპირდა ავსტრიას, ორ კორპუსს მოგაშველებ, თუ ომი აგიტყდა რუსეთის წინააღმდეგაო. ის გარემოება, რომ იტალიელები ავსტრიის დროშის ქვეშ უნდა გავიდნენ საბრძოლველადაო, დიდად აგულისებს იტალიელ მამულიშვილებს.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივნისი

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | $155^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 269 | — » | — » |
| —მეორისა | 244 | — » | — » |
| გირავნობის ფურცლები სათავადაზნაურო ბანკისა | $97^1/_2$ | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | $98^1/_2$ | — » | — » |
| ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა | $94^1/_2$ | — » | — » |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის

25 დღე კვირა. წმ. და ღირსის მოწ. თებრონიასი. კათოლ. წმ. ვილჰელმისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-9 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—37. მთვარე 8 დღისაა.

26 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა დავით თესალონიკელისა. კათოლ. წმ. პელაგიასი. სომეხ. წმ. ანტონისა, თეოფილესი, ანიქტასი და ფოტინესი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—36. მთვარე 9 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ულკელ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში, ქ. ტფილისში, ბარიათინსკის ქუჩაზე წიგნი:

## ვაზის მოშენება,

შედგენილი

ი. წინამძღვრიშვილისაგან.

ფასი 1 მანეთი.

ეს წიგნი სურათებით სავსეა და იყოფება ოთხ ნაწილად:

კარი პირველი

ა) ქვეყანა და იმაზედ საუბარი, ბ) საუბარი მიწის თვისებაზე, გ) შინაარსი და სინოყიერე მიწისა, დ) გარჩევა ყოველ გვარ მიწის თვისებისა ე) საუბარი ჰაერზე, ვ) საუბარი მცენარეზე და იმის ორგანოებზე, ზ) მცენარის ორგანოები, (?) მცენართ ცხოვრება და იმათი შინაარსი, თ) მცენარის ჯიშები, ი) ხელოვნური, კ) საუბარი მცენარის ამომცენარებაზე.

კარი მეორე

ა) საუბარი სავენახე მიწის ამორჩევაზე, ბ) ვენახის პატივი, გ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე თესლით, დ) მოსაშენებელი ადგილი—სკოლა, ე) საუბარი ვაზის გაშენებაზე კვირტით, ვ) საუბარი ვაზის გაშენებაზე რქით, ზ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე რქის დაწვენით, (?) საუბარი სავენახე ადგილის მოშენებაზე ძირიანის ვაზით, თ) საუბარი ვაზის მოვლაზე პირველს სამს წელიწადს, ი) საუბარი ვენახის დაკრეფაზე, კ) საუბარი ვენახის მორწყვაზე და გასხლვაზე, ლ) საუბარი ვაზის დაყენებაზე სხვა-და-სხვა რიგზედ, მ) საუბარი ვაზის გასხვლაზე, ნ) საუბარი ვაზის მყნობაზე, ო) საუბარი მიწის შემუშავებაზე სხვა-და-სხვა რიგად, პ) საუბარი ვენახის სამუშაო იარაღზე.

კარი მესამე

საუბარი ვაზის მოშენებაზე: ტფილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში, განჯის გუბერნიაში, ბაქოს გუბერნიაში, ყიზლარში, ყაზი-ყუმუხში და ყუბანში.

კარი მეოთხე

საუბარი ვაზის ავადმყოფობაზე (დამპალზე, ტყირპზე, დორწო-სიუხვეზე, ყვავილის დაცვივნაზე, სიყვითლეზე, ვაზის დამარცვაზე, ანტონის ცეცხლზე, კორძზე, კუზე, ნაცარზე, ფილოქსერაზე და მილდიუ-ობზე) და იმის მორჩენაზე. (5—5)

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოლი, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| ვენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. გაციტაძის მიერ | „ | 5 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა | „ | 5 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| თამარიანი, გუგუნავასი | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი | 3 | „ |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ | „ | 15 |

---

## ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

---

## ლ უ დ ი

(პივო)

უმაღლესად დამტკიცებულის

### ჟიგულევსკის ამხანაგობის

ლუდხანის ქარხნისა (ქ. სამარაში)

იგზავნება ბაქოს,

ახლად დაარსებულს საწყობში, მალაკნების ბაღთან. ფასი გაგზავნით ბაქოს რკინის გზის სადგურზე ერთის ყუთისა, რომელშიაც 60 ბოთლია, არის 9 მან. 50 კაპ. ყუთი ცალიერის ბოთლებით მიიღება უკანვე 2 მან. 90 კაპ. სხვა ქალაქებიდგან შემოკვეთილი დაუყოვნებლივ იქმნება შესრულებული. ადრესი ყოველ გვარის კორრესპონდენციისათვის:

3—2 ბაქო, ჟიგულევსკის საწყობი.

---

## „საქართველოს კალენდარის“

რედაქციისაგან.

„საქართველოს კალენდრის“ რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარეობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეიტყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძალიან ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

—

ზემოხსენებული ცნობა და მასალა სასურველია მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

—

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

—

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულს, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 12 მან., ნახევარ გვერდი—7 მან. წიგნის შუაში ერთი გვერდი 10 მან., ბოლოში—6 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი—5 მან., ნახევარ გვერდი—3 მან., მეოთხედი—2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს. განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში—მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянскій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—4)

---

# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

**А. А.**



ЗОЛОТАЯ

## ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—35) ა. თუთაევი

---

## ЗА УМЕРЕННОЕ ВОЗНАГРАЖДЕНІЕ

Принимаютъ на себя **составленіе описаній** хозяйствъ, производствъ, фабрикъ и заводовъ къ предстоящей кавказской выставкѣ въ Тифлисѣ.

Производятъ также **развѣдки рудъ** и минераловъ и **составленіе минералогическихъ коллекцій**.

Адресъ—въ редакціи «Иверія».

Письменно—**Павлу Михайловичу Воронову**. (3—2)


Доз. ценз. Тифлисъ 24-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე